



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო  
G E O R G I A  
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი:პ/7830154

თარიღი:18/06/2021

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი**

**სხდომის ოქმი N 9**

**ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 16.06.2021 წ.**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **გიორგი ივანიაძე**.

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი:** გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალაიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალაიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

**სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** ალექსანდრე ლილიუაშვილი, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, დავით ადვიშვილი, გია ოჩხიკიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მალაქელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

**მოწვეული პირები:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი - **გელა კაშია**.

ა.(ა) იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დირექტორი -**ნანა ლილუაშვილი**.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 14<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან და ლამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

მომხს. ტარიელ ძაგნიძე.

2.„ ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმის ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი-2021 წლის სექტემბერი) დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 სექტემბრის N27 23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს. გიორგი ივანიაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თამარ მეფისა და სოლომონ მეორის ქუჩის კვეთაზე არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძისა და ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩის N3- მიმდებარედ არსებული 1 ერთეული გარე განათების ბოძის ს/ს „სილქნეტი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ზვიად კაპანაძე.

4. ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე.

მომხს.ტარიელ ძაგნიძე

5. ა(ა) იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ ინფორმაციის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობისა და 2021 წლის ტურისტული სეზონისათვის მზადების შესახებ.

მომხს. ნანა ლილუაშვილი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ (ტარიელ ძაგნიძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა დადგენილების პროექტი,, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან და ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77<sup>1</sup>-77<sup>2</sup> მუხლები ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებობას დღისა და ღამის საათებში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებაზე, ასევე ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებაზე.

2018 წლის 1 ივლისამდე შემოაღნიშნულ შემთხვევებზე რეაგირებას ახდენდა და შესაბამის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ევალუბოდა შსს ორგანოებს, ხოლო 2018 წლის 1 ივლისიდან მუნიციპალიტეტის ორგანოებზეა და შესაბამისად ადმ სამართალდარღვევათა კოდექსის გარდამავალი დებულებები კერძოდ 313-ე მუხლის მე-17 ნაწილი ითვალისწინებს ვალდებულებას მუნიციპალიტეტის ორგანოებმა განსაზღვრონ შესაბამისი ორგანო, რომელიც შეადგენს სამართალდარღვევის ოქმს.

ჩვენს მიერ შემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია დადგენილების პროექტი, რომლითაც მტკიცდება ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან და ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების წესი, ასევე ამ დადგენილებით განისაზღვრება რომ შემოაღნიშნული სამართალდარღვევებზე ოქმის შემდგენი და მარეაგირებელი ორგანო არის - ზედამხედველობის სამსახური.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 28

წინააღმდეგი - 2.( ამირან ტალახაძე, აპოლონ რამიშვილი)

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილება ,, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან და ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ"

დადგენილება N14

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმის ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის

ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი-2021 წლის სექტემბერი) დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 სექტემბრის N27 23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულებაში შევიდა ცვლილება: კერძოდ, მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის პოპულარიზაციის მიზნით დაემატა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისათვის და მათი თანამშრომლებისათვის ვორქშოპების ჩატარება, სარეკლამო ბანერებისა და ბროშურების მომზადება-დაბეჭვდა-გავრცელება. ასევე სამოქალაქო ბიუჯეტირების პროცესის დანერგვა.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმის ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი-2021 წლის სექტემბერი) დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 სექტემბრის N27 23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

განკარგულება: N გ-65.65211671

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად ვაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თამარ მეფისა და სოლომონ მეორის ქუჩის კვეთაზე არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძისა და ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩის N3- მიმდებარედ არსებული 1 ერთეული გარე განათების ბოძის ს/ს „სილქნეტი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპანია „სილქნეტი“ ითხოვს იჯარით გარე განათების 4 ერთეულ ბოძს , რომლის გადაცემაზე გვჭირდება საკრებულოს თანხმობა.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 30

წინააღმდეგი -არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულება „ ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თამარ მეფისა და სოლომონ მეორის ქუჩის კვეთაზე არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძისა და ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩის N3- მიმდებარედ არსებული 1 ერთეული გარე განათების ბოძის ს/ს „სილქნეტი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის

თაობაზე;

განკარგულება N გ-65.65211672

### **მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გელა კაშიამ წარმოადგინა ინფორმაცია „ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს დასრულდა გარდამავალი პროექტები 2020 წელს დაწყებული.

ქალაქ ვანში, შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია , გადმოსული თანხა 357 233 ლარი. სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში სალხინო-ზენობნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 542 546 ლარი. ზედა ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ზედავანი-ტყელვანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია . მიმდინარეობს და დასრულების სტადიაშია ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია თანხით 740 000ლარი.წარმატებით მიმდინარეობა ასევე დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია. თანხით 604 890 ლარი. ქალაქ ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია თანხით 319 646 ლარი. ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 431 354 ლარი.

დაგეგმილი და გამოცხადებულია ტენდერები ტობანიერის, ზეინდრის, ქალაქ ვანის, სალომინაოს და ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა საუბნო საავტომობილო გზების სარეაბილიტაციოდ.

სოფლის პროგრამით წარმოდგენილია 74 პროექტი სხვადასხვა სოფლებში თანხით 516 212 ლარი სულ პროგრამით გათვალისწინებული 570 000 ლარი.

დეპუტატების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

### **მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნანა ლილუაშვილმა წარმოადგინა „ა(ა) იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ ინფორმაცია 2021 წელში გაწეული მუშაობისა და 2021 წლის ტურისტული სეზონისათვის მზადების შესახებ.

მომხსენებელმა ვრცლად იასუბრა „ვანის ტურიზმის ცენტრის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. (დანართი N2)

ისევე როგორც გასულ წლებში მიმდინარე წელსაც ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრს“ დაგეგმილი აქვს შემდეგი ძირითადი ღონისძიებები:

ა) უკვე ცნობილი და მაღალი ტურისტული აქტივობის მქონე ტურისტული ლოკაციებიდან საინტერესო სიახლეების უწყვეტი გავრცელება ყველა პლატფორმაზე როგორც ბეჭდურ მედიაში, ასევე ტელევიზიებთან თანამშრომლობით მრავალფეროვანი ტურისტული შინაარსის სიუჟეტების მომზადებაში;

ბ)სოლიდურ და ავორიტეტულ ვებ გვერდებზე თუ სოციალურ ქსელებში, რომელიც შექმნილია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის და ჰყავს ათობით და ასობით ათასი გამომწერი და სარგებლობენ კარგი რეპუტაციით, ვანის

ტურისტული პოტენციალის შესახებ უწყვეტი ინფორმაციის გავრცელება ხარისხიანი ფოტო და ვიდეო რგოლებით, მოკლე ანოტაციებით ინგლისურ და ქართულ ენებზე, სხარტი და სწორი მესიჯ-ბოქსებით;

გ)პოპულარულ ბლოგერებთან, გიდებთან, ტურ-ოპერატორებთან, ინფლუენსერებთან, იუთუბერებთან თანამშრომლობა;

დ)Online კონფერენციებში მონაწილეობა;

ე) ახალი ტურისტული პროდუქტების აღმოჩენა და ინფორმაციის გავრცელება და სხვა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდას და რაც შეიძლება მეტი ტურისტის თუ ტურისტული ორგანიზაციების დაინტერესებას, მათ შორის შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით;

ვ)აგრო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა შესაძლებლობის ფარგლებში.

მომხსენებელმა აღნიშნა,რომ:

Covid-19 პანდემიამ გაზარდა ინტერესი „სოფლის ტურიზმის“ მიმართ, ამ სეგმენტის განვითარების ხელშეწყობა ჩვენი ცენტრის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მიმდინარე წელს. გასულ წლებშიც ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობდა აღმოეჩინა და ხელი შეეწყო ადგილობრივი მეწარმეების საქმიანობის პოპულარიზაციისთვის, „სოფლის განვითარების სააგენტოს, ვანის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრ“-თან თანამშრომლობით ვაწვდიდით საჭირო ინფორმაციას ადგილობრივი მეწარმეებს გრანტებისა და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ. ამ კუთხით კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ის, რომ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (**DMO Imereti**) შეიქმნა „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის ტურისტული სერვისების მომწოდებელთა კოორდინატორი“-ს სამსახური რომელიც უშუალოდ ორიენტირებულია რეგიონში ადგილობრივი მეწარმეების განვითარებაზე, რაც გამოიხატება როგორც ზემოთ ხსენებული ინფორმაციის გავრცელებაში, ასევე თითოეული მეწარმის საქმიანობის ინდივიდუალურ შესწავლაში, მათ გადამზადებაში, დატრენინგებისა თუ სხვადასხვა მნიშვნელოვანი რჩევების გაზიარებით თუ როგორ დაიწყონ და განავითარონ სწორად ბიზნესი. მნიშვნელოვანია ის, რომ სამსახური ორიენტირებული არა მარტო უკვე მოქმედი ბიზნესის შენარჩუნება/განვითარებაზე, არამედ “Start up business” ხელშეწყობაზე, როგორც სახელმწიფო ასევე სხვა დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების გრანტებისა თუ სხვა საჭირო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენის კუთხით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)